წერილის ნომერი: **18-01200301663**
თარიღი: **30/01/2020**
პინი: **5530**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური“) განიხილა თქვენი 2020 წლის 22 იანვრის #17-01200223224-18 წერილით (AR1725648; IV კლასი, საწყობი) გადმოგზავნილი, თამარ ქურთაულის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლითაც განმცხადებელი ითხოვს სს „საქმეოლითის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. N6, ს.კ.: 01.19.21.003.086; ფუნქციური ზონა: ს-1) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის მიზნით, ტერიტორიაზე არსებულ მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 45-ე მუხლის მე-3^1 პუნქტის თანხმად, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების მიზნით წარდგენილ განცხადებას თან უნდა დაერთოს ექსპერტის დასკვნა მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ **(გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც II კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისას შენობა-ნაგებობა უნდა განთავსდეს მწვანე ნარგავებისაგან თავისუფალ ტერიტორიაზე, კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით)**. შესაბამისად, მოცემული განცხადება ხარვეზიანია, ვინაიდან განმცხადებელმა არ წარმოადგინა უფლებამოსილი ექსპერტის, მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ დასკვნა, **რომელიც უნდა მოიცავდეს:**

- მწვანე ნარგავების შესწავლისა და დასკვნის გაცემის თარიღს, ადგილსა (მისამართი, საკადასტრო კოდი) და საფუძველს;
- ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობასა და შეფასებული მწვანე ნარგავების რაოდენობას;
- კვლევის ჩატარების მეთოდს;
- ინფორმაციას მწვანე ნარგავების სახეობის, მდგომარეობის დიამეტრისა (მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე) და საჭიროების შემთხვევაში ხნოვანების თაობაზე;
- მწვანე ნარგავების ნუმერაციის მიხედვით კვლევის ამსახველ ფოტომასალას;
- დაავადებული მწვანე ნარგავების შემთხვევაში ლაბორატორიული კვლევის ამსახველ დოკუმენტს, დასაბუთება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული მწვანე ნარგავი გამოჯანმრთელებას;
- ჯანსაღი მწვანე ნარგავების შემთხვევაში ექსპერტის დასაბუთებული არგუმენტაცია მცენარის გადარგვის შესაძლებლობის თაობაზე;

აგრეთვე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, **განმცხადებელმა უნდა წარმოადგენინოს სათანადო ტოპო. გეგმა, რომელზეც დატანილი იქნება შემდეგი ინფორმაცია:**

- საპროექტო შენობის განთავსების სქემა;

- მწვანე ნარგავების სარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნაში აღწერილი მწვანე ნარგავები ნუმერაციის მიხედვით;
- საპროექტო შენობასა და მწვანე ნარგავებს შორის არსებული მანძილების აღნიშვნა;

აქვე დავძენთ, რომ დადგენილების 21-ე მუხლის 1^1 პუნქტის შესაბამისად, მწვანე ნარგავების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მწვანე ნარგავების მოჭრასთან მიმართებით.

დამატებით მოგახსენებთ, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის მიზნით, შესაძლოა, შემდგომში განმცხადებელს დაეკისროს სხვა დოკუმენტაციის წარმოდგენა.

ამდენად, იმისთვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული გარემოებები.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი